ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №254
დაფინანსების წყარო - 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი
საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 02 თებერვლის №260 განკარგულების (SMP180000252) საფუძველზე

ქ. თბილისი 9 მარტი 2018 წელი

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4, საიდენტიფიკაციო კოდი 204578206, საბანკო რეკვიზიტები: ა.ა. GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, ტელეფონი: 2436999), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ იორაშვილის სახით და **ა(ა)იპ ტრენინგების საერთაშორისო ცენტრი** (მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, გენ. გ.მაზნიაშვილის ქ. N46; საიდენტიფიკაციო კოდი - 445405428 , საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი TBCBGE22, ა.ა.GE97 TB71 5903 6080 1000 01, ტელეფონი:+995 595772400) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორი თემურ ზოიძის, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე, კვირა, თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

120 მსმენელისთვის „საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ანგარიშგების” შემსწავლელი კურსების (ქ. თელავი, ქ. სიღნაღი, ქ. ლაგოდეხი, ქ. წყალტუბო, ქ. ოზურგეთი, ქ. თეთრიწყარო, ქ. მარნეული, დაბა სტეფანწმინდა) სატრენინგო მომსახურების შესყიდვა (CPV-80500000)

3. ხელშეკრულების ღირებულება და ვადა

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 20296.00 (ოცი ათას ორასოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევისა. დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.4 მომსახურების გაწევის ბოლო ვადაა: 2018 წლის 15 აპრილამდე.

3.5 მომსახურების გაწევის ადგილია: საქართველო, ქ. თელავი, ქ. სიღნაღი, ქ. ლაგოდეხი, ქ. წყალტუბო, ქ. ოზურგეთი, ქ. თეთრიწყარო, ქ. მარნეული, დაბა სტეფანწმინდა

4. მხარეთა მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი №1-ის შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს **„საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ანგარიშგების” შემსწავლელი კურსების სატრენინგო მომსახურების** ჩატარება დაბა სტეფანწმინდაში 30 მონაწილე. ქ. მარნეულში 10 მონაწილე, ქ. თეთრიწყარო 15 მონაწილე, ქ. წყალტუბო 10 მონაწილე, ქ. ოზურგეთი 15 მონაწილე, ქ. სიღნაღი 20 მონაწილე, ქ. ლაგოდეხი 10 მონაწილე, ქ. თელავი 10 მონაწილე. ჯამში 120 მონაწილე დანართი №1-ის შესაბამისად.

გ) უზრუნველყოს სატრეინინგო მომსახურება შემდეგნაირად:

1) შემსყიდველის მიერ მიწოდებული სიის საფუძველზე უზრუნველყოს ტრენინგის მონაწილეთა დასწრების მობილიზება;

2) შემსყიდველს წარუდგინოს ტრენინგის გრაფიკი და მონაწილეთა ტრენინგზე დასწრების ყოველდღიური აღრიცხვა;

3)სასაწავლო კურსის ჩასატარებლად მოახდინოს შესაბამისი ფართით უზრუნველყოფა (სასტუმროს საკონფერენციო დარბაზი - შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმებით); საკონფერენციო დარბაზის მოწყობა უზრუნველყოს U ფორმის წყობით;

4)სასწავლო კურსის მსვლელობისას მოახდინოს მონაწილეთა საკანცელარიო მასალით უზრუნველყოფა (თითოეულ მონაწილეს მაგიდაზე უნდა ედოს ინდივიდუალური ფურცელი და კალამი);

5)მოახდინოს საკონფერენციო დარბაზის ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა პროექტორი და ეკრანი (ეკრანი არ უნდა იყოს დაფა), ეკრანი ისე უნდა იყოს დამონტაჟებული საკონფერენციო დარბაზში რომ მარტივად იყოს აღსაქმელი როგორც მონაწილეებისთვის ასევე ტრენერისთვის;

6)ტრენინგის მსვლელობის დროს მოახდინოს მონაწილეების სასმელი წყლით უზრუნველყოფა (სასმელი წყალი უნდა იყოს ბოთლის, საკონფერენციო მაგიდაზე თითოეულ მონაწილეს უნდა ედოს ინდივიდუალური წყლის ბოთლი და წყლის მინის გამჭირვალე ჭიქა);

7)ტრენინგის მსვლელობისას მოახდინოს მონაწილეთა ყავის შესვენებით უზრუნველყოფა (ყავის შესვენებაზე გამოყენებულ უნდა იქნას: ინდივიდუალური მრავალჯერადი გამოყენების ჭურჭელი (თეთრი ფერის ლამბაქი, ჭიქა, საშაქრე, ყავისა და ჩაის ჩასაყრელი ჭურჭელი და თეფში; კოვზი, თერმო ჩაიდანი (არა ელექტრო ჩაიდანი) თეთრი ნაჭრის სუფრა). ყავის შესვენებაზე უნდა იყოს ყავა, ჩაი, 2 სახის ორცხობილა;

8)ტრენერის ჩაცმულობა ტრენინგის ჩატარების დროს უნდა იყოს ოფიციალური, საქმიანი (პერანგი, შარვალი ან ქვედაბოლო);

9)უზრუნველყოს ტრენინგის დასრულებისას კურსდამთავრებულთა ზეპირი ტესტირება და შესაბამისი სერტიფიკატების დამზადება (ზომა, მასალა და დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით);

10)პროექტის მიმდინარეობის პროცესში ყველა ლოკაციაზე აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს მოგებული კომპანიიდან პროექტის კოორდინატორი, რომელიც უშუალო პასუხისმგებელი იქნება ტრენინგის ჩატარების პროცესზე;

გ) უზრუნველყოს სასწავლო კურსი თითოეული ჯგუფისათვის ჯამში უნდა შეადგენდეს 12 საათს და გადანაწილდეს 3 დღეზე. ჯგუფში დამსწრეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20 კაცს. თითო ლექცია არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები გაივლიან ზეპირ ტესტირებას და მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს. ტესტირებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის კურსდამთავრებულები, რომლებიც დაესწრებიან მეცადინეობების 90%-ს.

დ)განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია, პერიოდულად ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადებში გამოასწოროს ხარვეზი, ხოლო თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარვეზის გამოსწორებას და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ამ ხელშკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების ანგარიშის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 3.4 და 4.1 პუნქტებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-ის** ოდენობით.

10.3 თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება,.დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე - მიმწოდებელს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	ა(ა)იპ ტრენინგების საერთაშორისო ცენტრი
მისამართი: ქ. თბილის, სანაპიროს ქ. №4	მისამართი: საქართველო, ბათუმი , მაზნიაშვილის ქ.N 46
საიდენტიფიკაციო კოდი 204578206	საიდენტიფიკაციო კოდი - 445405428
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი TRESDE22	ბანკის კოდი TBCBGE22
ა.ა. GE24NB0330100200165022	ა.ა. GE97 TB71 5903 6080 1000 01
ტელეფონი: 2 436999	ტელეფონი: +995 595772400

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი
თამაზ იორაშვილი	თემურ ზორძე

დანართი №1

ტექნიკური დავალება

1. **გასაწევი მომსახურება:**

სასწავლო კურსი 120 მსმენელისთვის **„საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ანგარიშგება“ შემსწავლელი კურსების (ქ. თელავი, ქ. სიღნაღი, ქ. ლაგოდეხი, ქ. წყალტუბო, ქ. ოზურგეთი, ქ. თეთრიწყარო, ქ. მარნეული, დაბა სტეფანწმინდა)** - სატრენინგო მომსახურების შესყიდვა.

2.მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო კურსის **50 მსმენელისთვის „საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ანგარიშგება“** სატრენინგო მომსახურება, საქართველო, დაბა სტეფანწმინდაში 30 მონაწილე. ქ. მარნეულში 10 მონაწილე, ქ. თეთრიწყარო 15 მონაწილე, ქ. წყალტუბო 10 მონაწილე, ქ. ოზურგეთი 15 მონაწილე, ქ. სიღნაღი 20 მონაწილე, ქ. ლაგოდეხი 10 მონაწილე, ქ. თელავი 10 მონაწილე. ჯამში 120 მონაწილე.

მომსახურების მომწოდებელი ვალდებულია:

სასწავლო კურსის დასახელება : „საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ანგარიშგება“

თემა 1. საგადასახადო კოდექსის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა:

- საგადასახადო კანონმდებლობა
- ტერმინთა განმარტება
- გადასახადის გადამხდელის უფლებები
- საგადასახადო ორგანოთა უფლებები

თემა 2. საშემოსავლო და მოგების გადასახადები:

- ვინ არიან გადასახადების გადამხდელები
- რა იბეგრება საშემოსავლო და მოგების გადასახადებით
- რა დროს და როგორ ხდება დეკლარირება
- გადასახადებისგან გათავისუფლების მუხლები
- ხარჯების გამოქვითვა
- ანგარიშვალდებულ პირებზე საქვეანგარიშოდ თანხების გაცემის შედეგები
- ხელფასის დაბეგვრა
- თანამშრომელთა კვება
- პირველადი საგადასახადო დოკუმენტის შედგენა აუცილებელი რეკვიზიტების მითითებით (შესყიდვის აქტი ფიზიკური პირისგან)
- ფიზიკური პირისგან შესყიდული საქონლის ბუღალტრული გატარება
- ფიზიკური პირისგან შესყიდული საქონლის ჩამოწერა
- საწყისი და საბოლოო მარაგები

თემა 3. ქონების გადასახადი.

- ვინ არის ქონების გადასახადის გადამხდელი
- როდის უნდა მოხდეს ქონების გადასახადის დეკლარირება

- როგორ უნდა გავიანგარიშოთ დასაბეგრი ქონების ღირებულება ფიზიკური პირებისთვის და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისთვის (შპს)

- მიწაზე ქონების გადასახადი

თემა 4. დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ).

- დღგ-ს გადამხდელი,

- რა შემთხვევაში დგება დღგ-ს სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება,

- რა შემთხვევაში შეგვიძლია დღგ-ს რეგისტრაციის გაუქმება,

- როგორ უნდა გამოვთვალოთ გადასახდელი დღგ-ს თანხები,

- დღგ-ს გან გათავისუფლება

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელიმეს არაზედმიწევნით განხორციელების შემთხვევაში ტრენინგი შემსყიდველის მხრიდან ჩაითვლება არა ჯეროვნად შესრულებულად.

შემსყიდველი სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	მიმწოდებელი ა(ა)იპ ტრენინგების საერთაშორისო ცენტრი
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ იორაშვილი	დირექტორი თემურ ზოიძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ სასწავლო კურსის **120 მსმენელისათვის „საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ანგარიშგების“შემსწავლელი კურსების (ქ. თელავი, ქ. სიღნაღი, ქ. ლაგოდეხი, ქ. წყალტუბო, ქ. ოზურგეთი, ქ. თეთრიწყარო, ქ. მარნეული, დაბა სტეფანწმინდა) სატრენინგო მომსახურების** (CPV80500000) შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებულ 2018 წლის 9 მარტი N 254 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი — თამაზ იორაშვილი

ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარებების განმახორციელებელი პირი — ნატო მებურიშვილი